მოტივაცია და ფსიქოლოგიური ბარიერები უცხო ენების შესწავლის პროცესში

ზეინაბ ახვლედიანი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი
საქართველო, 6010 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995555007746, zeinab.akhvlediani@bsu.edu.ge
ORCID-iD: 0000-0002-1099-0955
ნელი ახვლედიანი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
საქართველო, 6010 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995599050452, neli.akhvlediani@bsu.edu.ge
ORCID-iD: 0009-0009-3074-7969
სალომე მელაძე
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, ფსიქოლოგი.
საქართველო, 6010 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995577935589, Salome.meladze111@gmail.com
ORCID-iD: 0009-0008-2873-5128

აბსტრაქტი

თანამედროვე ეპოქაში, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდა და მოთხოვნადი კადრის ძიება პირდაპირკავშირშია უცხო ენების ფლობასთან. დამსაქმებლების მოთხოვნა ვიწ-

რო სპეციალიზაციის გარდა მოიცავს ერთ ან რამდენიმე უცხო ენის ცოდნასაც, რაც ზრდის ენის შესწავლის აუცილებლობას.

ენის შესწავლის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობის ძირითად ფსიქოლოგიურ ასპექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივაციაა.

მოტივაციას შეუძლია ენის შესწავლაში შედეგის მოტანა და ხანგრძლივ წარმატებებზე მიღწევა, სწავლის პროცესში საკუთარ თავში უნარების აღმოჩენა საკითხისადმი უფრო მეტი ინტერესის გაღვივებას და შედეგად არსებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ სწავლის პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ინდივიდის მოტივაციაზე, არამედ სასწავლო გარემოსა და ფსიქოლოგიურ განწყობებზეც.

ენის შესწავლის პროცესში სტუდენტთა ფსიქოგანწყობის დადგენის: მოტივაციის, შფოთვისა და ინტერესის დონის შეფასების, პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სწავლის ნაყოფიერების გაზრდის; პროცესისადმი საჭირო ფსიქოლოგიური მიდგომების შემდგომში გათვალისწინების მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარდა ანკეტური კვლევა თურქული და გერმანული ენების შემსწავლელ ქართველ სტუდენტებთან. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების მოტივაცია პირდაპირ კავშირშია პედაგოგის პიროვნულ თვისებებთან, მათ შორის პოზიტიურ ენერგეტიკასთან, გახსნილობასთან, ემპათიასა და ემოციურ მხარდაჭერასთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს შფოთვასა და შიშს, ზრდის ნდობასა და უზრუნველყოფს აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დემოტივაციისა და შფოთვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაფიქსირდა შეცდომების დაშვების შიში, რაც ხელს უშლის კომუნიკაციურ აქტივობებში ჩართულობას. აღნიშნული ბარიე-

რის დაძლევა შესაძლებელია მასწავლებლის მხარდაჭერით, ინტერაქტიული სავარჯიშოებითა და სწორი ფსიქოლოგიური მიდგომების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, უცხო ენის სწავლება ყველაზე მეტად ეფექტურია მაშინ, როდესაც ლექტორის აკადემიურობა და პროფესიული უნარები ჰარმონიულად ერწყმის პიროვნულ თვისებებსა და ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევის სტრატეგიებს, ქმნის შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, მნიშვნელოვნად ზრდის სწავლების ხარისხს, ამაღლებს სტუდენტების მოტივაციასა და რაც მთავარია საკუთარი თავისადმი რწმენას.

საძიებო სიტყვები: ენის შესწავლის ფსიქოლოგიური ფაქტორები, მოტივაცია, ფსიქოლოგიური ბარიერები, სასწავლო გარემო, პედაგოგის ფსიქოლოგიური მიდგომები.

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდა და მოთხოვნადი კადრის ძიება პირდაპირ კავშირშია უცხო ენების ფლობასთან. შრომის ბაზარზე დამსაქმებლის მოთხოვნას ვიწრო სპეციალიზაციის გარდა უცხო ენების (ხშირ შემთხვევაში არა ერთი) ფლობაც წარმოადგენს.

ენის შესწავლის პროცესებზე: ენობრივ მიდრეკილებებსა თუ პირიქით აღქმის სორთულეებზე, ხშირად დაშვებულ შეცდომებსა თუ მის გამომწვევ ფაქტორებზე, დომინანტი ენების გავლენასა და პროცესში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებზე ძალიან ბევრი დაწერილა. ბოლო პერიოდში კი განსაკუთრებით პოპულარული გახდა და ინტენსიურად ხორციელდება კვლევები ენისადმი ფსიქოლოგიური მიდგომის საკითხში. როგორც მოგვეხსენება, ადამიანის ფსიქიკას გენეტიკური ფაქტორების გარდა სო-

ციუმში გამეფებული ატმოსფერო, სტერეოტიპები განაპირობებს, რაც თავისთავად ცხადია ენის შესწავლის პროცესებზეც ახდენს გავლენას.

მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერება და ფსიქოლოგია ერთმანეთისაგან განსხვავებული დისციპლინებია, მათი საერთო ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა. ენასა და ფსიქოლოგიას შორის ურთიერთობა, რომელსაც ფსიქოლონგვისტური მეცნიერება შეისწავლის, პიროვნების დაბადებიდან თანდაყოლილი ენობრივი უნარების პიროვნული განვითარების პროცესთან შესისლხორცებით ფორმირდება.

ფსიქოლინგვისტიკა ენის წარმოშობის, სტრუქტურის, გამოყენებასა და ადამიანის ქცევების ფსიქოლოგიური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერებაა. ეს მეცნიერება ენის აღქმისა და გამოყენებითი პროცესების კვლევის მიზნით ენასა და გამოცდილებას, ენასა და აზროვნებას შორის არსებულ ურთიერთობებს, როგორც ბიოლოგიური ასევე ფსიქოლოგიური ასპექტების საფუძველზე იკვლევს (Özbay, Barutçu, 2013:3).

ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც ენის შესწავლისა და გამოყენების დროს იჩენს თავს, ფსიქოლინგვისტიკის წიაღში უნდა იქნეს გამოკვლეული. ამ მეცნიერების კვლევის არეალი შემდეგნაირად შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული: ✓როგორ უნდა იქნეს აღქმული ადამიანების მიერ ენა, ✓როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება, ✓ენისა და აზროვნებას შორის კავშირი, ✓ ფსიქოლოგიური პროცესები ენის ფორმირებაში, ✓ენასა და გამოცდილებას შორის ურთიერთობა (Özkan A., Özkan E., 2024:2).

ლინგვისტური ფსიქოლოგია, ნებისმიერი ენის შესწავლის დროს შეისწავლის ენობრივ საზოგადოებას და ორიენტირდება: ✓საზოგადოებრივი ფორმირების მდგომარეობაზე, ✓საზოგადოებების მენტალურ სტრუქტურაზე, ✓საზოგადოების ღირებულებებზე, ✓კულტურულ მდგომარეობაზე, ✓წეს-ჩვეულებებზე,

✓სოციალური წესების გათვალისწინებით ენის სწავლებაზე (Özkan A., Özkan E., 2024:3).

გამომდინარე აქედან, ლინგვისტური ფსიქოლოგია, პიროვნების მიერ საკუთარი თავის ეფექტურად წარმოჩენის გარდა ჯანსაღი კომუნიკაციის წარმოებასაც ითვალისწინებს. ენის სწავლება პიროვნების სულიერი მდგომარეობის, საკუთარი თავის სწორად წარმოჩენის გარდა, გარემოს სწორად აღქმაშიც ეხმარება ადამიანს.

ლინგვისტური ფსიქოლოგია, მოიცავს რა ადამიანურ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მათ ფასეულობებს, ეხმარება ადამიანს სამყაროსა და საკუთარი თავის აღქმაში"(Taştekin, 2016: 9).

ენის შესწავლის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობის, ძირითად ფსიქოლოგიურ ასპექტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: მოტივაცია და ენის შესწავლის ინტერესი.

მოტივაცია ენის შესწავლის მთავარი ფაქტორია. მხოლოდ მოტივაციას შეუძლია ენის შესწავლაში შედეგის მოტანა და ხანგრძლივ წარმატებაზე მიღწევა, სწავლის პროცესში საკუთარ თავში უნარების აღმოჩენა საკითხისადმი უფრო მეტი ინტერესის გაღვივებასა და შედეგად არსებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

ხანგრძლივ წარმატებაში კი შემდეგი იგულისხმება: თუ სტუდენტი მხოლოდ გამოცდაზე წარუმატებლობის შიშით სწავლობს საგანს, ის შესაძლოა მიაღწევს შედეგს, თუმცა მის წარმატებას გრძელვადიანი ეფექტი არ იქნება. ფაქტია, რომ მიზანზე მიღწევა მოტივაციის მეშვეობით ხდება, რომლის შენარჩუნებაც მიზნის მიღწევამდეა აუცილებელი.

როცა მოტივაციაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის წარმოშობის საფუძველს წამორმოადგენს: ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს სამომავლო გეგმებთან, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ენისა

და კულტურისადმი ინტერესს, შესასწავლი ენის ქვეყანაში ცხოვრებას, ამ ქვეყნის სასწავლებელში სწავლასა თუ შესასწავლი ენის პირდაპირ შრომის ბაზარზე რეალიზებას. ანუ, გამომდინარე აქედან, შესასწავლი ენისადმი მიდგომასა და მოტივაციის გაღვივების წინაპირობას ენისადმი გარკვეული მიზნების არსებობის აუცილებლობამდე მივყავართ.

ზემოხსენებული ფაქტორები შეიძლება შემდეგ დეტალებად დახარისხდეს: არსებული მიზნები უცხო ენის სწავლების რომელ დონეს ითვალისწინებს? მაგ: თუ ლინგვისტობაზე ორიენტირებული პირი ენის ამომწურავად შესწავლით ინტერესდება, სასტუმროში მუშაობით დაინტერესებული პირის მიზანს ენის მხოლოდ ელემენტარული დონის შესწავლა შეიძლება წარმოადგენდეს.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თუ მოტივაცია ძალიან ძლიერია, იზრდება სტრესის დონე და შეიძლება დაეცეს შრომის ეფექტურობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს არასასურველ ემოციურ რეაქციას და შფოთვის მატებას. თავდაჯერებულობა მნიშვნელოვნად ამცირებს მოსწავლეთა შფოთვას. გაკვეთილების ჩატარება ხელსაყრელ, ცოცხალ, ჰარმონიულ გარემოში, წახალისება, იმ გრამატიკული, ლექსიკური და ფონეტიკური შეცდომების იგნორირება, რომლებიც ხელს არ უშლის კომუნიკაციას, შექება დაეხმარება მოსწავლეებს დაძლიონ ფსიქოლოგიური ბარიერები და შეამცირონ შფოთვა. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები ერთობლივი პროექტებითა და დისკუსიებით, მაგრამ შფოთვისა და გარკვეული შიშის მქონე მოსწავლეები არ უნდა აიძულოს, რომ მონაწილეობა მიიღონ მათში, უნდა შეცვალოს ეს დავალებები სხვა სამუშაოთი, მისცეს შესაძლებლობა უფრო მორცხვ მოსწავლეებს იმუშაონ წყვილებში/ ჯგუფში მათთან, ვინც თავს კომფორტულად გრძნობს აუდიტორიაში. მასწავლებლის ამოცანაა მოიძიოს ოპტიმალური ვარიანტი,

რომელშიც უცხო ენის შემსწავლელი ადამიანი მიაღწევს თავის მიზნებს და ამას განახორციელებს ხელსაყრელ ემოციურ გარემოში (Шепеленко, 2017:7).

როგორც ვხედავთ, მოტივაციის გვერდით აუცილებლად უნდა იქნეს განხილული ენის სწავლის პროცესის თანმდევი დემოტივაციისა და შფოთვების განმაპირობებელი ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, რომელსაც ბულგარელი ფსიქიატრი ლოზანოვი შემდეგნაირად აყალიბებს:

✓ მოსწავლის წარუმატებლობის შიში ✓ თავდაჯერებულობის ნაკლებობა, ✓ რწმენა იმისა, რომ ვერ შეძლებს ან სხვა შთაგონებები, ✓საკუთარი თავის დარწმუნება, რომ ენის სწავლა ძალიან რთულია.

მათი წარმოშობის წყაროდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური ბარიერები შეიძლება დაიყოს ფსიქოფიზიოლოგიურ, ინფორმაციულ, ემოციურ, შეფასების, სემანტიკურ და ინტერკულტურულ ბარიერებად. ფსიქოფიზიოლოგიური ბარიერები წარმოიქმნება მაშინ, როცა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არ არის კონტაქტი, ორ ენობრივ რეალობას შორის არ არის ჰარმონია ან კიდევ დიდი განსხვავებაა მასწავლებლისა და მოსწავლის ტემპერამენტებს შორის. საინფორმაციო ბარიერები წარმოიქმნება, როდესაც სასწავლო პროგრამა არასწორად არის შერჩეული, სასწავლო მასალის დონე და მისი პრეზენტაციის ტემპი არ შეესაბამება სტუდენტის მომზადების საწყის დონეს. ემოციური ბარიერები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სხვადასხვა ხასიათის პიროვნულ-ნეგატიური ემოციების ფონზე, მოსწავლის გაზრდილ შფოთვასთან, სტუდენტის რწმენასთან, რომ არა აქვს უნარი უცხო ენაზე საუბრისა, შეცდომის დაშვების შიშთან, ჯგუფში დისკომფორტის შექმნასთან, კითხვაზე სწრაფად პასუხის გაცემის უუნარობასთან. შეფასების ბარიერები დაკავშირებულია მოსწავლის აზრით მასწავლებლის მხრიდან ნაშრომის არაობი-

ექტურ შეფასებასთან ან პიროვნულ-სუბიექტურ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან, რაც შემდგომში გავლენას ახდენს შეფასებაზე. ინტერკულტურული და სემანტიკური ბარიერები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სტუდენტი არ ფლობს უცხო ენის სწავლის მიდგომებს, არ იცის ან არ სურს გაითვალისწინოს კომუნიკაციისა და დისკუსიის წესები, გამოხატოს საკუთარი აზრი შესასწავლი ენის ქვეყნის ტრადიციებთან დაკავშირებით, არასწორად ესმის თანამოსაუბრის, როგორც სხვა კულტურის წარმომადგენლის საუბარი (Шепеленко, 2017:3).

კვლევის მიზანი:

სწავლის პროცესში არსებული ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე, ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნის, არსებული სირთულეებისადმი ფსიქოლოგიური მიდგომების შემუშავების, სასწავლო პროცესების გამარტივებისა და მიმზიდველ, სახალისო პროცესად გადაქცევის მიზნით, თურქული და გერმანული ენების შემსწავლელ ქართულ ჯგუფებზე ჩატარდა კვლევა, რომელიც ენის შესწავლის პროცესზე ინდივიდის ფსიქოლოგიური მდგომარეობის (ფსიქოლოგიური ბარიერების, მოტივაციების, შიშების) გავლენაზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული კვლევის შედეგად:

1. მოგვეცემა საშუალება, სწავლის დასაწყისიდანვე დავადგინოთ ენის შესწავლის პროცესისადმი ენის შემსწავლელის ფსიქოლოგიური განწყობა:ფსიქოლოგიური ბარიერები, შიში და მოტივაციის დონე;
2. სტუდენტების მიერ ანკეტაში დაფიქსირებული პასუხების განხილვა გვიჩვენებს თუ რა როლი აქვს ენის შესწავლის პროცესზე შემსწავლელის ფსიქოგანწყობას, მოტივაციასა თუ წარსული მარცხის საფუძველზე წარმოქმნილ ფსიქოლოგიურ ბარიერებს;

3. არსებული ფსიქობარიერების განხილვა, მოგვცემს საშუალებას ვიმსჯელოთ ენის შესწავლისადმი მასწავლებლის აუცილებელი ფსიქოლოგიური მიდგომების პროცესში ჩართულობის, ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნისა და საჭიროების შემთხვევაში მოტივაციის ასამაღლებელი ღონისძიებების შემუშავების გზების შესახებ.

მეთოდი

წერილობითი, ანკეტური კვლევა, რომელიც შემდეგი კითხვარებისგან იქნა შედგენილი:

1. ზოგადი ინფორმაცია

- თქვენი ასაკი

2. გენდერი

- ქალი
- მამაკაცი

3. რომელ საფეხურზე სწავლობთ?

- ბაკალავრიატი
- მაგისტრატურა
- დოქტორანტურა

4. სახლში ქართულის გარდა სხვა ენაზე საუბრობთ?

- დიახ
- არა

5. რომელ უცხო ენას სწავლობთ?

- თურქულს
- გერმანულს
- ინგლისურს
- რუსულს
- ფრანგულს
- სხვა (დააკონკრეტეთ)

6. ამ კონკრეტული ენის შესწავლის მიზანი:

- სამუშაოსთვის

- პირადი განვითარებისთვის
- აკადემიური მიზნებისთვის
- სხვა (დააკონკრეტეთ)

7. როგორ გგონიათ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ენა თქვენს ცხოვრებაში?

- ძალიან მნიშვნელოვანი
- ნაკლებად მნიშვნელოვანი
- ჯერჯერობით არ ვიცი

8. თქვენი აზრით, რამდენად რთულია ახალი ენის შესწავლა?

- ძალიან რთულია
- საშუალოდ რთულია
- მე არ მიჭირს

9. ახალი ენის შესწავლის წინ როგორია თქვენი განწყობა?

- აღფრთოვანებული ვარ, რადგან ჩემს წინ ახალი ჰორიზონტი იხსნება.
- მცირე შფოთვა მაქვს
- ძალიან ვნერვიულობ
- ნაკლებად ემოციური ვარ
- სხვა (დააკონკრეტეთ)

10. როდესაც დაიწყეთ ახალი ენის სწავლა:

- ვფიქრობდი რომ ვისწავლიდი მარტივად
- მქონდა შიშები, შფოთვა, რომ გამიჭირდებოდა სწავლა
- არ მაქვს არანაირი განცდა ახალი ენის შესწავლისას.
- სხვა (დააკონკრეტეთ)

11. როცა ენის შესწავლისას სიძნელეს აწყდებით, როგორ რეაგირებთ?

- ვცდილობ შევინარჩუნო მოტივაცია და გავაგრძელო სწავლა
- მწუხარება და შფოთვა მაქვს

- იმედგაცრუებული ვხდები და მოტივაცია მეკარგება
- სირთულე მაძლიერებს და ენერგიას მმატებს.

12. უცხო ენის სწავლისას ყველაზე მეტად რა იწვევს თქვენს შეშფოთებას?

- შიში, რომ ვერ დავამახსოვრებ
- ჩავიჭრები გამოცდაზე
- მეუხერხულება ჯგუფის თანდასწრებით შეცდომების დაშვება
- სხვა (დააკონკრეტეთ)

13. როგორ დაახასიათებდით თქვენს შიდა მოტივაციას?

- ძალიან მაღალი
- საკმაოდ მაღალი
- საშუალო
- დაბალი

14. ჩემს წარმატებას ყველაზე მეტად განაპირობებს:

- მასწავლებლის მიდგომა და მხარდაჭერა
- ჩემი პირადი მოტივაცია და ინტერესი
- გარე ფაქტორები, როგორიცაა ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერა
- სწავლების მეთოდები და რესურსები

15. რას გრძნობთ, როცა ნასწავლი სიტყვებით საუბრის პირველ ნაბიჯებს დგამთ?

- დაძაბულობას
- ვშფოთავ, რადგან არ მინდა შემეშალოს
- ბედნიერი ვარ
- არ მაქვს რეაქცია, უბრალოდ ვსწავლობ
- სხვა

16. გგონიათ, რომ ენის სწავლა უფრო გართულდება, თუ თქვენ არ ხართ ფსიქოლოგიურად მზად ამისთვის?

- დიახ
- არა

17. როგორი ფსიქოლოგიური განწყობა აბრკოლებს თქვენი აზრით ენის შესწავლის პროცესს ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად:

  დაბალი თვითშეფასება
- ემოციური ფონი
- შიში შეცდომების გამო
- სხვა

დასკვნითი ღია კითხვები

- თუ შეიძლება მოკლედ აღწერეთ თქვენი ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც შეიძლება შეგექმნათ სწავლის დროს;
- თქვენი აზრით, სირთულის დროს მასწავლებლის როგორ მიდგომებს აქვს მნიშვნელობა და ყველაზე მეტად როგორი მიდგომა ხდება თქვენთვის მოტივატორი?

შედეგი

შემსწავლელთა საერთო მონაცემებზე დაკვირვების საშუალებას 1-5 კითხვებზე პასუხები წარმოადგენს:

1. ანკეტა შევსებული იქნა 30 სტუდენტის (19 თურქული ენისა და 11 გერმანული ენის შემსწავლელის) მიერ;
2. საინტერესო იქნებოდა საკითხში გენდერით გამოწვეულ სხვაობებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ იმდენად რამდენადაც ანკეტაში მონაწილეთა შორის მხოლოდ 3 მამაკაცია, ცხადია გენდერით გამოწვეული განსხვავებების განხილვა ვერ მოხერხდება;
3. მონაწილეთა სრული უმრავლესობა ქართველია. ოჯახში კომუნიკაცია მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობს,

რასაც რასაკვირველია ენის შესწავლის პროცესზე დიდი გავლენა აქვს. როგორც ცნობილია, როცა ბავშვი იზრდება ოჯახში, სადაც სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, ენათა სისტემის მარტივად აღქმის, ენათშორის სხვაობებსა და მსგავსებებზე ყურადღების გამახვილების, კომუნიკაციისადმი მზაობისა და სხვადასხვა კულტურების აღქმის უნარი უფრო მეტია;

4. ანკეტის მონაწილეთა ასაკი 19-21 წლამდე მერყეობს. ანუ მნიშვნელოვან ასაკობრივ სხვაობებს ანკეტის ანალიზისას არ ვაწყდებით;
5. ანკეტის მონაწილენი თურქული და გერმანული ენების გარდა სხვა ენებს (რუსულს ან ინგლისურს) ფლობენ, ან სწავლის პროცესში არიან. ანუ ენობრივ სტრუქტურასთან მუშაობა, დაკვირვება-აღქმა მათთვის უცხო პროცესს არ წარმოადგენს.

მომდევნო კითხვებზე (6-17) მონაწილეთა პასუხების სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:

- გამოკითხულთა უმრავლესობას ენის შესწავლა ერთობლივად **პირადი განვითარების + აკადემიური მიზნების + სამსახურის** გამო სურს, მხოლოდ და მხოლოდ **სამსახურისთვის (16.7%)** სწავლა ნაკლებადაა აქტუალური;
- უმრავლესობა ენის შესწავლას ძალიან **მნიშვნელოვან** საკითხად მიიჩნევს. მხოლოდ **30%** თვის ჯერ კიდევ გაურკვეველია, შესასწავლი ენის გამოყენების არეალი;
- გამოკითხულთა უმრავლესობა **(60.0%)** ენის შესწავლას **საშუალოდ რთულად** აფასებს. მხოლოდ დაბალი პროცენტი მიიჩნევს **მარტივად (26.7%)** და ძალიან რთულად კი მცირე ნაწილს **(13.3%)** ესახება;
- რაც შეეხება სწავლის წინა განწყობას, შემსწავლელთა დიდი ნაწილი **აღფრთოვანებას განიცდის და საკმაოდ მოტივირებულია**

(56.7%) მცირე შფოთვა: (20%); ნაკლებად ემოციური: 23.3%, გადაჭარბებული ნერვიულობა კი 0% დაფიქსირდა;

● 63.3% -ს მიაჩნია რომ პროცესი მარტივად ჩაივლის, შფოთვებსა და შიშს განიცდის 36.7%, ხოლო უემოციოდ კი 0% რჩება;

● სირთულეებზე რეაგირების პასუხები საკმაოდ შთამბეჭდავია, რადგან პროცესის მოტივაციით გაგრძელებას ცდილობს: 66.7%, შფოთვასა და იმედგაცრუებას განიცდის 13.3-13.3%, სირთულე კი აძლიერებს 6.7%-ს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის როლიც სწავლების პროცესზე უდიდესია, შემდგომი კითხვის პასუხებში დაფიქსირდა:

● სწავლის პროცესში შფოთვების მიზეზად გამოკითხულთა 53.3%-მა საგნის ვერ დამახსოვრების შიში განაცხადა. 40% ს ეუხერხულება ჯგუფის თანდასწრებით შეცდომის დაშვება, ანუ ორივე პუნქტი საგნის ვერ შესწავლასა და შედეგად ჯგუფის წინაშე სირცხვილის ჭამის შიშს უკავშირდება, ხოლო გამოცდაზე ჩაჭრის შიში მხოლოდ 6.7%-ს აქვს.

● მიუხედავად შფოთვებისა, შიდა მოტივაცია შემსწავლელების 40% სა მაღალია, ძალიან მაღალი: 33.3%, საშუალო: 26.7% ხოლო დაბალი: 0%

● ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთათვის წარმატებას პირველ რიგში მასწავლებლის მიდგომები განაპირობებს - 43.3%, სწავლების მეთოდები და რესურსები: 30%, პირადი მოტივაცია: 26.7%, გარე ფაქტორები კი, როგორიცაა ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერა გამოკითხულთათვის არანაირ ფაქტორს არ წარმოადგენს 0%.

● მოტივაციას უკავშირდება შესასწავლ ენაზე კომუნიკაციის პირველი ნაბიჯებით გამოწვეული ემოციებიც, რომელიც მონაწილეთა 46.7% - ს აბედნიერებს, 33.3% -ს შფოთვას უძლიერებს,

16.7% -ში დაძაბულობას იწვევს, ხოლო 3.3% ში კი არანაირ ემოციას არ იწვევს;

- აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონაწილეთა **60% ენის შესწავლისთვის ფსიქოლოგიურად უნდა იყვნენ შემზადებული, ხოლო 40%-ს კი არანაირი ფსიქოლოგიური მზაობა არ სჭირდება.**

რაც შეეხება **სასწავლო პროცესის შემაფერხებელ ფსიქოლოგიური ბარიერებს, მონაწილეთა 63.3% -ს ისევ შეცდომების გამო შფოთვები დაუფიქსირდა, ემოციური ფონი და მღელვარება: 20%-ს, ხოლო დაბალი თვითშეფასების პრობლემა არსებობს გამოკითხულთა 16.7% - ში.**

მსჯელობა

მოტივაცია და მიზნები

როგორც გამოკითხვებმა გვიჩვენა, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ენის შესწავლას მაღალი განწყობით და მოტივაციით უდგება, უკვე აქვს გარკვეული მიზნები ენის გამოყენებასთან დაკავშირებით: გამოკითხულთა დიდი ნაწილი ენის შესწავლას როგორც კარიერული წინსვლისთვის, ასევე პირადი განვითარების მიზნით ახორციელებს, რაც მიგვითითებს, რომ შესასწავლ ენასთან დაკავშირებული მათი გეგმები გრძელვადიანია და აღნიშნული ენა მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მონაწილეთა დიდი ნაწილი ენის შესწავლის პროცესს საშუალოდ რთულად ახასიათებს, თუმცა ეს არ უშლის ხელს ენის შესწავლის მიმართ მათ ინტერესსა და აღფრთოვანებას, მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია შიში და შფოთვა სიახლის მიმართ. სასიხარულოა სირთულეების შემთხვევაშიც მონაწილეთა დიდი ნაწილის სწავლის მოტივაციით გაგრძელების მცდელობაც, აღსანიშნავია ასევე კომუნიკაციის პირველი ნაბიჯებისას მათი ბედნიერების განცდა, ემოციები, რომელსაც სწავლისადმი მათი სერ-

იოზული მიდგომები და პასუხისმგებლობის გრძნობა განაპირობებს.

ფსიქოლოგიური განწყობის როლი რომ სწავლის პროცესზე დიდია, ამას მონაწილეთა პასუხებიც მოწმობს, გამოკითხულთა 60%-ს მიაჩნია, რომ სიახლის ათვისებისა და სამოქმედო მზაობისთვის აუცილებლად სჭირდება შესაბამისი ფსიქოლოგიური შემზადება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 40 % თვის ენის შესწავლის დაწყება მექანიკური პროცესია და არანაირ წინა ფსიქოლოგიური მომზადების საჭიროებას არ განიცდის.

წარმატების ფაქტორებს რაც შეეხება, მონაწილეთა დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სტუდენტის წარმატებას პირველ რიგში მასწავლებლის მიდგომა განაპირობებს, მეორე ადგილი დაიჭირა სწავლის მეთოდებმა და რესურსებმა და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მხოლოდ შემდგომ დაფიქსირდა პირადი მოტივაცია. ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზე, ყველაზე მოტივირებულ სტუდენტთათვისაც, მხოლოდ პირადი მოტივაცია არაა საკმარისი და რომ მასწავლებელი, როგორც სასწავლო პროცესის წარმმართველი, მთლიანად უნდა ფლობდეს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე დაბალანსებული ურთიერთობების წარმართვის ხელოვნებასაც. ღია კითხვების პასუხებიც ერთხმად მოწმობს, რომ თუ წარმატებული მასწავლებელი სტუდენტის მოტივაციის გაძლიერებას უწყობს ხელს, ერთფეროვანი, მკაცრი ან არაინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება, ასევე არასახარბიელო პიროვნული მახასიათებლების მქონე მასწავლებლის ქცევა, გამოკითხულთა შეფასებით, ხშირად იწვევს მოტივირებული სტუდენტის დემოტივაციას.

როგორც დასკვნით ღია პასუხებში აღმოჩნდა, სტუდენტი ლექტორისეულ მიდგომებზე საუბრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას პროფესიონალიზმსა და აკადემიურობაზე მეტად მის პიროვნულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას. მათთვის

პირველ რიგში მთავარია პედაგოგის ემოციური მხარდაჭერა. ისინი ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, თუ როგორი არ უნდა იყოს მასწავლებელი: ავტორიტარული, უხეში და ემპათიის არმქონე, რადგან მსგავს შემთხვევებში კითხვის დასმა შეუძლებელია და დაძაბულობის გამო პროცესი ნაყოფიერად არ მიმდინარეობს. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობის აზრით: **„ლექტორთან არ უნდა მეშინოდეს ერთი და იგივე შეკითხვის რამდენჯერმე დასმისა და შეცდომის დაშვების, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითშეფასება და მოტივაცია მიქვეითდება და სასწავლო პროცესი არანაყოფიერად მიმდინარეობს”**.

შფოთვის წყარო და ფსიქოლოგიური ბარიერები:

კითხვის: თქვენი აზრით, როგორი ფსიქოლოგიური განწყობა აბრკოლებს ენის შესწავლის პროცესს, სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ (63.3%), რომლებიც გამოკითხვის დასაწყისში აღფრთოვანებასა და მზადყოფნას გამოთქვამდნენ ახალი ენის შესწავლისა და ენობრივ სირთულეებზე მოტივაციით შეჭიდებისთვის, პასუხად **შეცდომების დაშვების შიში** დაასახელა. მცირე ნაწილი კი **ემოციურ ფონსა და დაბალ თვითშეფასებას** ასახელებს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ შეცდომების დაშვების შიში პირდაპირ კავშირშია ემოციურ განწყობასთან, რაც ხშირ შემთხვევაში დაბალი თვითშეფასების წინაპირობადაც შეიძლება იქცეს.

ჯგუფის წინაშე შეცდომის დაშვებით გამოწვეულმა უხერხულობამ და ვერ დამახსოვრების შიშის ფაქტორმა იჩინა თავი შფოთვების განხილვისასაც. მხოლოდ უმცირესი ნაწილი (6.7%) შფოთავს გამოცდაზე მოსალოდნელი ჩაჭრის გამო.

მონაცემთა ანალიზმა შემდეგ ამოცანებამდე მიგვიყვანა

1. რა ღონისძიებებია გასატარებელი იმისთვის, რომ მოტივირებული სტუდენტის, რომელიც მზადყოფნას გამოთქვამს ენის

შესასწავლად და მოსალოდნელ სირთულეებთან შესაჭიდად, დემოტივაცია არ მოხდეს;
2. რა ღონისძიებებია გასატარებელი მოსალოდნელი შიშებისა და შფოთვების აღმოსაფხვრელად;
3. როგორ უნდა მოხდეს იმ სტუდენტთა დაინტერესება, რომლისთვისაც შესასწავლი ენის როლი ჯერ კიდევ ბუნდოვანია და რომლის ინტერესის სფეროს მხოლოდ გამოცდის ქულა წარმოადგენს;
4. როგორი უნდა იყოს სასწავლო გარემო, რომელიც სხვადასხვა მიზნებისა და ფსიქოგანწყობის მქონე სტუდენტთათვის ერთნაირად კომფორტული იქნება.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც კვლევამ აჩვენა, უცხო ენის სწავლებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი **პედაგოგის პიროვნება და პროფესიული სტილია.**

სტუდენტების უმრავლესობა სწორედ მასწავლებლის დამოკიდებულებას უკავშირებს საკუთარ წარმატებას ან წარუმატებლობას. ეს ნიშნავს, რომ პედაგოგის როლი გაცილებით სცდება მხოლოდ ცოდნის გადაცემას - მასზეა დამოკიდებული სასწავლო გარემოს ემოციური ფონიც, სტუდენტთა შიდა მოტივაციის გაძლიერება და მათი თვითშეფასების ამაღლება. ამიტომ:

- პედაგოგმა, პირველ რიგში, უნდა შექმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც **შეცდომა აღიქმება როგორც სასწავლო პროცესის ბუნებრივი ნაწილი და არა როგორც მარცხი.** სასურველია შიგადაშიგ მოუთხროს სტუდენტებს წარმატებულ ადამიანთა (თუნდაც საკუთარი) სწავლასა თუ კარიერულ გზაზე დაშვებულ შეცდომებზე, ამით გაუმყარებს ფიქრს სტუდენტებს, რომ შეცდომა და მარცხი წარუმატებლობას არ ნიშნავს, პირიქით ეს არის გზა განათლებისა და პროფესიონალიზმისკენ. თუ სტუდენტი შეცდომის დაშვების შემთხვ-

ევაში დასჯის ან დაცინვის საგანი გახდება, მასში აუცილებლად თავს იჩენს შფოთვა და მოხდება თვითშეფასების დაქვეითება. ანკეტური მონაცემების მიხედვით, ყველაზე დიდი შფოთვის მიზეზს, სწორედ შეცდომით გამოწვეული უხერხულობა წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეცდომა გადააქციოს წარმატების იარაღად, დაუღალავად ახსნას სწორი ვარიანტი და ამავდროულად გაამხნევოს სტუდენტი.

- ღია პასუხებმა ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასევე **მასწავლებლის ენერგეტიკა და ემოციური მიდგომები:** სტუდენტებისთვის მასწავლებლის პოზიტიური განწყობით აუდიტორიაში შესვლა, ღიმილიანი, მეგობრული კომუნიკაცია და მზაობა ნებისმიერი შეკითხვის მოსმენასა და პასუხზე. ასეთ გარემოში სტუდენტები თავს კომფორტულად გრძნობენ, არ ერიდებათ კითხვების დასმა და უფრო აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში.
- პედაგოგის როლი მოიცავს **მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენებასაც**. ერთფეროვანი და სტარნდარტული მიდგომა ხშირად იწვევს მოტივაციის დაქვეითებას, ენის მასწავლებელი მუდამ უნდა ცდილობდეს აუდიტორიაში სიახლეებისადმი სტუდენტების დაინტერესებას: ინტერაქტიული აქტივობები - დისკუსიები, როლური თამაშები, პროექტებზე მუშაობა - სახალისო გარემოს ქმნის და ამარტივებს ინფორმაციის დამახსოვრებას.
- გარდა აკადემიურობისა, მასწავლებელი არის **მენტორი და ემოციური მხარდამჭერი**. პედაგოგის მიდგომებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: ერთი ფრაზით მას შეუძლია შიში მოტივაციად აქციოს, ან პირიქით - ინტერესის სრული დაკარგვა გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ, პროფესიონალი პედ-

აგოგი უნდა გამოირჩეოდეს არა მხოლოდ პროფესიული კომპეტენციით, არამედ ემოციური ინტელექტულობითაც.

- რასაკვირველია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ისეთი სტუდენტი, რომელთა ინტერესს მხოლოდ გამოცდის ქულა წარმოადგენს და შესაბამისად, შესასწავლი ენის როლი მის ცხოვრებაში ბუნდოვანია; წარსული წარუმატებლობის გამო (ჩვენ ვიცით, რომ ანკეტის მონაწილეებს სხვადასხვა ენების შესწავლის გამოცდილება აქვთ) ენის შესწავლას სკეპტიკურად ან გულგრილად ეკიდება, აღქმის პროცესი შეუძლებლად ესახება და თვითრწმენა შელახული აქვს. ასეთ სტუდენტთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **დიფერენცირებული მიდგომა**, რადგან მსგავსი სტუდენტები რისკის ქვეშ არიან, რომ საერთოდ დაკარგონ ინტერესი და შესაბამისად, ძალიან ჩამორჩნენ მასალას. ამიტომ, პედაგოგმა პერიოდულად უნდა გამოყოს დრო ინდივიდუალური მუშაობისთვის, სადაც სტუდენტს ექნება საშუალება უშუალოდ დასვას კითხვები და მიიღოს განმარტებები. ეს ამცირებს ჯგუფის წინაშე უხერხულობას და ზრდის ნდობას მასწავლებლის მიმართ. პედაგოგის მოვალეობაა გაკიცხვის ნაცვლად ჯგუფურ გამოკითხვებში მათი ინტენსიური ჩართვა, მათთვის მცირე და მიღწევადი მიზნების დასახვა, ენის სწავლების მათ ინტერესებზე, მათ გეგმებზე მორგება, მაგალითად თუ დაინტერესებულია მუსიკით, ან სპორტით, უცხო ენაზე თემატიკასთან დაკავშირებული მასალის მიწოდება და თუნდაც მცირე წარმატების აუცილებლად აღნიშვნა, რათა თანდათანობით აღიდგინონ ნდობა საკუთარი უნარების მიმართ და აიმაღლონ თვითშეფასება. პედაგოგის მხრიდან ყურადღება, მხარდაჭერა და შეცდომებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება ასეთ სტუდენტებში შეიძლება გარდატეხის მომტანი აღმოჩნდეს.

კვლევის შედეგებმა ნათლად დაადასტურა, რომ სწავლების ეფექტიანობა არ განისაზღვრება მხოლოდ პროფესიული ან ტექნიკური კომპონენტებით, როგორიცაა აკადემიური კომპეტენციები, ინოვაციური მიდგომების დანერგვა თუ დისკუსიებში ჩართულობის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ასპექტები სასწავლო პროცესისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, წინ უსწრებს და მათი ეფექტურობის საფუძველს წარმოადგენს პედაგოგის პიროვნული მახასიათებლები. პოზიტიური ენერგეტიკა, ემოციური გახსნილობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ისეთი მარტივი, მაგრამ სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ჟესტიც კი, როგორიცაა ღიმილი, ქმნის ემოციურად უსაფრთხო გარემოს, ამცირებს შფოთვას, აძლიერებს ნდობასა და კავშირს სტუდენტსა და ლექტორს შორის და შესაბამისად ზრდის სწავლის მოტივაციასა და ეფექტურობას.

მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლის პროცესში ემოციური და სოციალური საფუძველი უზრუნველყოფილია, სრულად იჩენს თავს ლექტორის აკადემიურობა, პროფესიული უნარები, კომპეტენციები და იქმნება რეალური შედეგი. შედეგად, სწავლება გარდაიქმნება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის პროცესად, არამედ ინტელექტუალურ და ემოციურ თანამშრომლობად, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, გააძლიეროს საკუთარი თვითეფექტიანობა, მოტივაცია და შემოქმედებითი პოტენციალი.

აღნიშნული შედეგები მნიშვნელოვან იმპლიკაციას შეიცავს როგორც საგანმანათლებლო პრაქტიკისთვის, ისე განათლების პოლიტიკისთვის: განათლების სისტემის წარმატება, ამგვარად, დამოკიდებულია არა მხოლოდ პროგრამების ინოვაციურობაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად ხდება პედაგოგის როლის სრული გააზრება: როგორც ცოდნის გადამცემისა და ინტელექ-

ტუალური გზამკვლევის, ასევე პოზიტიურ-ემოციური გარემოს შემქმნელისა და ხშირ შემთხვევაში სტუდენტის მომავლის განმსაზღვრელისა, რადგან სწავლების რეალური ეფექტიანობა იქმნება სწორედ იმ ჰარმონიული სინთეზით, რომელიც აერთიანებს პედაგოგის პიროვნულ მახასიათებლებსა და პროფესიულ კომპეტენციებს. მხოლოდ ამ ერთიანობაში ვლინდება ის ძალა, რომელიც სწავლას აქცევს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის პროცესად, არამედ სტუდენტის პიროვნული, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების საფუძვლად.

იმედი მაქვს, რომ ეს ნაშრომი მცირე გზამკვლევს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ნაყოფიერად წარმართვისა და შესაბამისად სტუდენტთათვის ჯანსაღი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნით დაინტერესებულ პირთათვის.

და ბოლოს, მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო ჩვენი სტუდენტების მიმართ, რომლებმაც ხალისითა და დიდი ინტერესით მიიღეს კვლევაში მონაწილება და შესაბამისად საფუძველი ჩაუყარეს წარმოდგენილი ნაშრომის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Özbay, M. Barutçu T., (2013). *Dil Psikolojisi ve Türkçe Öğretimi.* Adıyaman Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi;

Özkan, A. Özkan, E. (2024). *Yabancı Dil Olarak Türkçenin Öğretim Psikolojisi.* Social Sciences Studies Journal;

Taştekin, A., (2016). *Dil Psikolojisinin İlgi Alanları.* Turkish Studies

Шепеленко,Т.М. (2017). *Психологические аспекты изучения иностранных языков.* “Вестник Пнипу” *Проблемы языкознания и педагогики № 1.*